

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 11
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამაგრ. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ —
16 კაპ. მეოთხედზედ — 8 კაპ.

„ივერიის“ ტელეგრაფი № 22

ივერიის

№ 20

პარასკევი, 27 იანვარი 1895

გაზეთი	ლირა:
მან. კ.	მან. კ.
12	10 — 6 — 6 —
11	9 50 5 . . . 5 50
10	8 75 4 . . . 4 75
9	8 — 3 . . . 3 50
8	7 25 2 . . . 2 75
7	6 50 1 . . . 1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეგრაფი № 22

კვირული

ყოველ გვარს სასამართლო სამსახურს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არჩევს, ვტვირთვლობ აგრეთვე მამულების განაშენიანების საზღვრებს.

მსურველთა მოგვართონ დიდის 8-10 სათამდე და საღამოს 6-8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17

(15-2)

გოლოვინის მრავალპიკტი, სახლი მიწიანთაგისა

გაეოფენის

უკანასკნელი კვირა.

ჩვენის დროისათვის ორი უდიდესი საკვირველებია

1) ქონდრის გაცემა

შეგთავაზებ უკატარესნი ცოლ-ქმარნი დედამწის ზურგზედ მარკიზ მრლემ, შობილდენ 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუმი, სიმძიმით 9 1/2 კილ.

მარკიზალ უნიკა, შობილდენ 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუმი, სიმძიმით 0 1/2 კილ.

2) ცოცხალი ბუნებრივი 1 მენარცხულები ინდოეთელნი

ტეუზნი-დანი

რადიკა & დოლოდიკა

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა

გამოფენა დიკეტება სამზაბათს, 31 იანვარს, საღამოს 10 საათზედ.

გამოფენა ღია ყოველ დღე, დილის 11 საათიდან საღამოს 10 საათამდის. ადგილებს ფასი დაკლებულია: სკამები 20 კაპ., ფეხზედ დგომით 10 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცი იხდიან მხოლოდ ნახევარს ფასს. (20-6.—18)

II

ცელქები

ხუმრობა 1 მკ. თარგ. ე. ნიკოლაძისა

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმოძისა, გამყრელიძისა, ტარიელიძისა და სხვ. ბენი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, შარჯანოვი, აღაშიძე, გუნია და სხვ.

ადგილთვის უასი ჩვეულებრივი.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოქების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

შხადლება წარმოსადგენად: „სამშობლო“ დრ. 5 მოქმედ. თ. დ. ერისთავისა.

რეჟისორი ადმინისტრატორი
ლ. მესხიშვილი ვლ. გუნია.

ახალი ამბავი

* * * დღეს, 27 იანვარს, ქართულს თეატრში არტისტ-ქალის საფაროვა აბაშიძის საბუნებისოდ დანიშნულია წარმოდგენა: „უნდა გავიყარეთ“, და „ტელქები“ უმკველი საზოგადოება, რომელიც არა ერთხელ დამტკარა მისის ხელოვნურის თამაშობით, ახლაც სრულს თანაგრძობას აღმოუჩენს ამ ნიჭიერს არტისტ-ქალს.

* * * Miss Marjory Wardrop-ის მიერ ნათარგმნ ქართულ ზღაპრების შესახებ ბევრი ინგლისურ ჟურნალ-გაზეთების აზრი გვიკონდა მოყვანილი. არა მარტო ინგლისელების ყურადღება მიიპყრო ამ ზღაპრებმა, არამედ

სომოს ყოველმა ერმა და მისთა გულის შემტკივართა, რომ, თუ არ დიკვა ჯერ თავისი საკუთარი საეროვნო ინტერესები, ეროვნული განსაკუთრებით თვისებანი და დადგა იმ შემცდარ გზას, რომელსაც ჰქონდა გზა-აქტუელი კოსმოპოლიტნი, ეგ იქნება თავისი ხელით თავის დაკვა.

რაც უნდა დიდებული და განიერული იყვეს კაცობრიობის გაერთება, საერთო ფედერაცია, — ამბობს ფრიდრიხ ლისტი, — უგუნურება იქნებოდა იმ ერისა, რომელიც ამის ლოდინში, რომ ესენი ამას ბოლოს დიდს მოგებას მისცემენ, დაიწყებს ესლავე თავისის საქმეებისა ისრე წარმართვის, როგორც შეჭეროდა ეს მაშინ, როდესაც ეს დიდებულინი საქმენი შესრულდებოდნენ.

იგივე დიდად შესანიშნავი მოაზრე, ლისტი, რომელსაც სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება აქამდის თითქმის სრულიად ვერ იცნობს და რომლისაც გაცნობა დიდთ საქირა ჩვენგან ხალხისათვის — ამბობს:

„ისტორია გვასწავლის, რა რიგათ იღუპებოდნენ და ბოლო ეღებოდათ იმ ერთა, რომელნიც მრავალი ხნის

ამერიკელებისაც. იმ მაგალითად: ნიუ-იორკის ერთს გაზეთში „Nation“ 27 ქრისტეშობისთვის წარსულის წლის №-ში დაბეჭდილია რეცენზია ამ წიგნზედ. ჩვენ ეს რეცენზია აღარ მოგვყავს, რადგან შინაარსი თითქმის იგივეა, რაც ინგლისურს გაზეთებში იყო.

* * * გუშინ, 26 იანვარს, ქალაქის გამგეობაში ქალაქის სასარგებლოდ გაწერილი საშუალო აქციონი განაწილეს, სასტუმროების, ბუფეტების, რესტორანების და სხვა ამ გვარ ალაგების პატრონებთა შორის. სასტუმროების პატრონებს ამ წელს საშუალო აქციონი 2,700 მან. დაადეს. „სასტუმრო ოთახების“ პატრონებს — 2,400 მან., სხვა-და-სხვა ბუფეტების პატრონებს 1980 მანეთი, რესტორანებისა და კაფე-რესტორანების პატრონებს — 3105 მანეთი, ყავახანების პატრონებს — 720 მანეთი. 28 იანვარს ქალაქის გამგეობა განაწილეს საშუალო აქციონს ტრაქტორების პატრონთა შორის.

* * * ოთხშაბათს, 25 იანვარს, ქალაქის გამგეობაში სხდომა ჰქონდა საბჭოს მიერ ამორჩეულ ტენიკია კომისიის ტენიკიის ბ-ნ შიშკოვის მიერ შედგენილ ქალაქის ახალ საყსობების შენობების პროექტის გასასინჯად. კომისიამ მრავალ მხრივ შესწორა ეს პროექტი. სხვათა შორის საყურადღებოა ის, რომ კომისიის აზრით ღირების დასაკვლელი განყოფილება სულ ცალკე უნდა იყოს და აგრეთვე საღარე ბაკი მოშორებით უნდა იმყოფებოდეს სხვილ ფეხა საქონლის ბაქისაგან.

განმავლობაში არ იცავდნენ თავისის კულტურის ინტერებს და ძლიერებას.

ეს ცხადია, ჩვენმა მკითხველმა ისრე არ უნდა გაიგონოს, რომ ერთი უნდა ორივე ხელით ექიდებოდეს ყოველს მას, რაც ისტორიულად ამას გასჯლობია ძვალსა და რბილში, რასაც შესწევია და არაფერი კეთილი საბოლოო-კი არ მოსდევს, რასაც, სამწუხაროდ, ვხედავთ ჩვენ თითქმის ყველა დაჩაგრულს ერებში.

სახელოვანი მოაზრე ფრანციელითა, მონტესკიო ამბობს ამაზედ:

„ნაცია, ჩავარდნილი მონებაში, უფრო იმასა სცილობს, დაიცავს ის, რაც შეუძენია, ვიდრე შეიძინოს ახალი. თავისუფალი ერი-კი უფრო იმასა სცილობს, შეიძინოს ახალი, ვიდრე დაიცავს ძველი“.

ამას ისიც უნდა დაემატოს, ამბობს ლისტი, რომ „რაკი ის (დამონაგებული ერი) სცილობს მარტო ძველის დაცვას და არა ახლის შექმნას, ამ გვარი ერი მიდის დაცემისა და ვალტაკების გზაზედ. ერი, რომელიც არ მიდის წინ, უნდა წავიდეს უკან და ბოლოს კიდევ უნდა დაემხოს“.

* * * ცხენის რკინის გზის შედამხდველობისათვის საბჭოს მიერ ამორჩეულს კომისიას 25 იანვარს სხდომა ჰქონდა. კომისიამ განიხილა მრავალი საივარი უსახელო საზოგადოებაზედ ჩნდა ყოველსა ჩივირზედ დადგინა, ხუთხუთი მანეთი ჯარიმა გადახდებოდეს ამ საზოგადოებას.

* * * ყარსის რკინის გზის გაყვანის პროექტი უკვე გაუთავებია კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟინერს პუშენიკოვს, რომელიც ამ დღებში პეტერბურგს მიდის ამ პროექტის წასადგენად. პროექტის დამტკიცებისა. მებრ მაშინვე შეუდგებიან ყარსზედ რკინის გზის გაყვანას.

* * * 24 იანვარს ტფილისში ჩამოვიდნენ ლონდონიდან ორი ინგლისელი მოგზაურნი ნასწავლი კაცო: კარლ ტორპე და გერმან ბიენელი, რომელნიც როსიას სასტუმროში ჩამოხდნენ.

* * * პოლიცია ამ ემად დაეძებს ვილაკა ა—ვს, რომელსაც ბანქოს თამაშობაში მრავალი მოთამაშე მოუტყუებია, წაუჩრევია მრავალი ფული და ტფილისიდან გაქეულა.

* * * ქუთაისი. მატყუარა — მძარცვავ-მღლეგლებმა ჩვენშიაც იჩინეს თიფი. მას შემდეგ, რაც სამეგრელოს მცხოვრებნი მიძიებდნენ თავდაზნაურობისა შეუდგნენ თავისის ღირსების დასამტკიცებლად საქართველოს სასინოლო კანტორიდან საპუტის ქალაქის გამოტანას, ყველამ ვინც-კი მკირე ოდენად მაინც იცის წერ-კითხვა და სხვის მოტყუებაზედ დაუტყუტია თვალები, ჩაერყვნენ საქმეში და უფიცს ხალხს ატყუებენ,

მაშასადამე, ცხადია, რომ თავისი ინტერესების დაცვა მარტო იმას არა ჰწინავს, რომ წაქეილოს ყველა, თუმცა დამკვიდრებულს, მაგრამ წამხლარს, ანუ უსარგებლო ნიჭს, გარემოებას, წყობილებას, ზნეს. ინტერესების დაცვა უნდა ისახებოდეს იმაში, რომ ასწონოს ერმა, რაც შეუძენია და რაც შეადგენს მის წარმატების საღარეს და ის დაიცავს, რაც არის საენო და უფარგისი, ის მოკვებითს და აღმოაფხვრას. ამასთან უნდა ყოველის ღონით სცილობდეს იმ საღარეთა შექმნას, რომლითაც სხვა ხალხნი მიდიან წინ და თვითონაც ცდილობდეს ახალთა საღარეთა მოპოვებას, ახლის გზის გაკვლევას თავისი წარსამატებლად, თავისი ევოლიუციისათვის. ყველა ამავისთვის უმთავრესი ადგილი უჭირავთ შემდეგთა საღარეთა.

ერთი უმთავრესი ადგილი ამ საქმეში უჭირავს საეროვნო ენას. ენამ უნდა გადასცეს ერს და შესძინოს ყოველივე ნაყოფი გონებისა, ენამ უნდა გამოჰსახოს გონების ძალა, გონების აზროვნება, გონების ნაწარმოები, ბუნების ძალა, ნაყოფი, მოედენანი და სხვა ათასი ამგვარი, ურო-

ფელეტონი

კაცობრიობა და ხალხოსნობა

წერილი მეორე
უმთავრესნი საღარესნი დაგეგულთა ერთა წარსამატებლად.

I.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ კაცობრიობა ვერ წავა წინ სწორე ნაბიჯით და ვერ შესრულდება კოსმოპოლიტთა მალალი აზრები, თუ ზოგი ერთნი დარჩებიან მჩაგრეულად, მეორენი დაჩაგრულად; რომ ერთის გადადიერებას და მეორის დაცემას მოსდევს მოუძღურება ორივე მხარისა: მჩაგრავისაცა და ჩაგრულისაცა. ვნახეთ, რომ სასარგებლო პატრიოტობა საკაცობრიო და საეროვნო წარსამატებლად უნდა აღორძინდეს და ჩაგრულს ერებში, რომ ამ დაჩაგრულთ ერთა წასწიოს წინ და გაშალოს თანასწორი დაწინაურებულითა ერთა, ურომლისოდ არ შეიძლება კაცობრიობის გეროვნად წინ წასვლა და ევოლიუცია. ვნახეთ

ბ-ნ გ. აბაშიძის მონაწილეობით
ბენეუისი
მ. მ. საზარკოვისა
I
უნდა გავიყარეთ
კომედ. 3 მკ. თარგ. ე. აბაშიძისა

აგრეთვე, რომ სასარგებლო საკაცობრიო წარმატებისთვის კოსმოპოლიტნი უნდა აღორძინდნენ და დაკვიდრდნენ დაწინაურებულს და გაძლიერებულს ერებში, რომ აქ იმოქმედონ დაჩაგრულთა ხალხთა სასარგებლოდ, შელოგონ მძლავრი ხალხებისაგან უძლურთა ხალხთა ჩაგვრა, თუ არა კაცობრიობის წარმატება და ევოლიუცია არ იქნება გეროვანი, სრული, და მჩაგრავთაც დაჩაგრულთაც თანასწორ აძლევს ვნებას საბოლოოთ. ვნახეთ, რომ თუ ერმა არ დიკვა თავისი ბუნებრივი განსაკუთრებითი თვისებანი, იმას მოეღოს საშინელი ბოლო. ახლა გადავავლოთ თვალი, გაკვრით მაინცა, უმთავრესთა საღარეთა, რომლითაც დღევანდელს დღეს უნდა მიჰმართონ უძლურთა ერთა და მისთა პატრიოტთა, რომ დროზედ ეხწიენენ იმ მდგომარეობას, რომ გახდნენ თანაზარნი დაწინაურებულითა ერთა და იმათზედ უკან ჩამორჩენით არ მოისპნენ ქვეყნის პირიდან, როგორც მოსპობილნი მრავალნი ერნი, რომელთაც თავის დროზედ და გეროვნად არ უგდიათ თავის წარმატებისათვის ყური. ყველაზედ უწინარეს უნდა დაიხ-

რომ სასყიდლო მოგვეცი და ჩვენ გამოგატანინებთ საბჭოთის ქალაქებს...

ჩვენს მოწინავე კაცებმა ყოველგვარი მოსინის, წავიდნენ და ხალხს აუწყეს...

აქამომდე მშვენიერი ზაფხულის დღეები იყო. კვირა საღამოსკი...

ნაშუაგობი

ნუ მომკვლავ სტრეფოკ, მაცაღე, გაისლო გასრუბულია, გაისლო ნათლათ მისაღი...

მლისოთაც კაცს კაცური ცხოვრება არ შეუძლიან. რომ შესაძლებელი იყოს...

აზარი

მოწინავე კაცებმა ყოველგვარი მოსინის, წავიდნენ და ხალხს აუწყეს. ხალხმა არ ქნა თურმე, ჩვენ უჩუბრად ვერ ჩავბარდებით რუსებსაო...

ბიან, ის სულ ტყუილია, აქ მართალი არაფერია. თქვენ ამბობთ, რომ უსჯულოები არიანო და ამიტომ ვერ დავდგებით აქაო...

აქცოვროს, რომ არ მოვიდეთო, თორემ თუ ერთ-ერთი ვერ აღასრულა, ეს დიდი ცოდვა იქნებაო...

რუსეთის ცხოვრება

გაზეთ „Моск. Вѣд.“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ვარშაველიდან. აი სხვათა შორის რას ამბობს წერილის ავტორი...


რომელიც მათ ესმით და რომლითაც უნდა შეიკრიბოს ყოველი გონების ნაყოფი, არ შეუძლიან ავარჯიშონ თავისი გონება იმ მრავალი ხნის განმავლობაში...

ადგილთან რითმე დაქვემდებარებული, თავის შვილებს წინააღმდეგობა ვერ ატევს...

ჩვენ აქამდის არაფერს ვფიქრობთ რუსეთის თეატრის შესახებ და მილიონობით ვი ვხარჯავთ პოლონურის თეატრის აღსადგენად და ყოველწლიურად - კი 60,000 მანეთით ვეხმარებით...

ქვეყნის მოსახლეობა

დღემამ შეგვაცხობინა, რომ 25 იანვარს ნიცაში გარდაცვლილია წვერი სახელმწიფოს საბჭოისა ა. ა. აბაზა. განსვენებული ეკუთვნოდა რუსთა ერის ძველს ზნაურთა გვარს...



ვაწე. განსაკუთრებით საინტერესოა ნაწილი „მედიკალი“, სადაც მას ეჭვარა ჯერ მთელი სახელმწიფოს ფულადების კანტაროლის ადგილი და შემდეგში — თვით მინისტრისაც (1880 წ.). ამ დროს იმან ბევრი კარგი კანონ-დებულება შემოიღო და, სხვათა შორის, მოსპო ბაჟი მარილზედ. 1885 წ. იმან გამოისცა „რუსეთის ისტორია მოსწავლეთათვის“, 1886 წ. „რუსეთის ისტორია“ ხალხისათვის. განსვენებულს ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა და ყოველთვის დიდის ცოდნით, გულ მოდგინებით, დაკვირვებით და კატომოყვარეობით ასრულებდა მინდობილს მოვალეობას.

ამგვარად იმ სამთავან (მილიუტინი, აბაზა, ლორის-მელიქოვი), რომელნიც შეადგენდნენ საიმედო ბურჯს დაუფრეხარის ალექსანდრე II-ის მეფობისას, დღეს მხოლოდ-ღა ერთი დაჩა — მოხუცი მილიუტინი.

უცხოეთი

პარლამენტის ოპოზიციის პირველი შეტაკება რიბოს სამინისტროსთან პრეზიდენტის ეპისტოლეზე გამოიწვია. პრეზიდენტის ეპისტოლეზე წაკითხვის შემდეგ ბრისსონმა განაცხადა, რომ გობლე აპირებს დაეკითხოს, თუ ახალი სამინისტრო რა პოლიტიკას აღვია. პრეზიდენტის შენიშვნაზედ ერთი ნაწილი ტაშს უკრავს, მეორე კი უსტყენს და უჩიბულობს. ბრისსონი ეკითხება: „როდის?“ დეპუტატ-თავადანი მრავალი პასუხად ჰყვირიან: „ესხლავ“ — ა!

აბო აცხადებს, რომ მალე მისცემს პასუხს.

გობლე, მე არა მსურს ბიუჯეტის გარდაწყვეტა შეყენებული იყოს და ახალს კაბინეტს რაიმე საფრთხე შეემთხვას, მაგრამ აუცილებელ საქმეებზედ მიმჩნია, უკანასკნელად მომხდარ ამბების შესახებ რაიმე ანგარიში მოვთხოვოთ სამინისტროსა. არ უცდობა, არ შევიწმინოთ, რომ ჩვეულებრივად სამინისტრომ მოსალოდნელი დეკლარაცია არ წაიმძღვარა

სხვა ძლიერის ერის გავლენის ქვეშ, წინანდელი ერი დაპყრობა, მასთან კავშირი შეუძლებელი გახდა. მაშინ რა უნდა ჰქნას ამ სხვის ენის შემაყურალება? ის დრო და ის ძალა, რომელიც მოახმარა და შეაღწია სხვის ენის შესწავლას, დაიკარგა, ჩაიარა ამოად. ახლა უნდა შეუდგეს სხვა ენის შეთვისებას. გარემოებამ აქაც უმტყუნა. ჩაიარა აქ მომხმარებელმა დრომ და ცდაც ააოდა და სხვა. ამ ხანში სხვანი მიდიან წინ, და ხალხი, რომელიც ელის სხვის ენით გაბედნიერებას, თავისის დავეწყებას და სხვის ენის შეთვისებას, რჩება უკან, ენითაც და გონებითაც ხდებიან საბუარნი, რაკი ამ ხნის განმავლობაში სახალხო გონების სალოროს არა ემატება-რა, და პირიქით ჰკარავს მასაც, რაც წინათ შეუძენია.

შეიძლება გვიპასუხონ, რომ არც სხვაგანა სწავლობს მთელი ხალხი თანაბრად, აქაც მხოლოდ მცირე რიცხვნი იღებენ მაღალს ანუ ზომიერს სწავლას, დანაშთენი უმეტესობა რჩება შორს, მაღალს ან ზომიერს საქმე სწავლა-განათლებლაზედა. მაშასადამე, სივრცე საკუთარი ენისა მომეტებულს

წინ. ეს უთუოდ იმისი მიზეზი უნდა იყოს, რომ ამ დეკლარაციის გამო მინისტრებს უთანხმოება მოუხდათ. მე არ დაუბრუნებდი პრეზიდენტის კრიზის და პერიეს უცნაურს ეპისტოლეს, ამ ხმა-ამაღლებულს ჯაშუშობას იმ პარლამენტისა და ქვეყნის შესახებ, რომელთაც პერიეს თავის მეტაურად აღიარეს (მარცხნივ მოისმის განხურებული ტაშის-ცემა). არც ახალის პრეზიდენტის არჩევანის შესახებ ვიტყვი რასმე გრძობად, შევიწმინავ მხოლოდ, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის საქმეების საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად გამოგვადგება ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მეთაურის ამოჩვენა რესპუბლიკის რეჟიმის მტრებზედ არის დღეს დამოკიდებული.

ბრისსონი. თქვენ არა გაქვთ უფლება, საერო კრების დადგენილება გასაჯოთ.

გობლე. ახალი პრეზიდენტი იმიტომ იქნა ამოჩვენული, რომ რესპუბლიკის მტერი მონარქიის უკანასკნელ ინსტიტუტებით ჰხელმძღვანელობდნენ.

ბრისსონი, საყოველთაო ხმაურობისა და ადგილების დროს ერთხელ კიდევ სთხოვეს ორატორს, კონსტიტუციისა და იმის ორგანიზების შეხებას ერიდოს, რომელთაც ეკუთვნის ახლად არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

გობლე. მე დამად პატივსაცემ რესპუბლიკის პრეზიდენტს. ესლა იმ ფაქტებს შევეხები, რომლებიც პრეზიდენტის არჩევანებს მოჰყვა. შემარცხენი ბედნაერად ჩასთვლიდნენ თავს, რომ სამინისტროს შედგენა და მართვა ბურჟუას ხელში ყოფილიყო, რადგანაც მთელი ქვეყანა იმისი მოსურნეა, რომ პატიოსანი მთავრობა ჰყავდეს. იგი იმელოვებდა, რომ ასეთი მთავრობა ზოგი-ერთს საძრახს გარემოებას საზღვარს დაუდებდა (მემარცხენეთა და მემარჯვენეთა შორის დიდხანს გაისმოდა ტაშის ხმა, ცენტრი იცანის).

ბრისსონი. ჩემის აზრით ორი კვირის დასვენების შემდეგ უნდა შესძლოთ მშვიდობიანად ყურის-გდება

ნაწილს ხალხისას არასა ჰშველისო. როგორც დაცემული ერნი, ესენიც უშვერებაში რჩებიან, მაშასადამე, ეს ვრცელი ენის პატრონი ვერ წავლენ წინ იმ ერებზედ, რომელნიც იგიწყებენ თავისას და ითვისებენ სხვისასაო. იქაც და აქაც მხოლოდ რჩეული მიდიან წინ, დანარჩენნი რჩებიან თანასწორს უშვერებაში. ამიტომ ტყუილი შიშია, რომ ერთმა ერმა მეორეს ძალიან გაასწროს წინ, რომ ერთისაგან მეორეს მოჰყვება ადარ შეიძლებოდესო.

ერთის შეხედვით ეს პასუხი თითქო საბუთიანია. მაგრამ, თუ ღრმად ჩავკვირდით და ავწონეთ ის მხარეები, რომელნიც მოსდევენ ღრმად და უფიქრებლობას და საქმის დაუკვირვებლობას, ვნახავთ, რომ ეს პასუხი არის თავიდან ბოლომდის შემცდარი.

ერთი, რომელსაც აქვს საკუთარი ვრცელი და მდიდარი ლიტერატურა, სწავლობს საკუთარს ენაზედ, აქვს ამ ენაზედ საშუალო საქმეების წარმოება, — ყველას ესმის ენა თავისთა დაწინაურებულითა განათლებულთა პირთა. ის, რაც არ უსწავლია სკოლაში, რაც ვერ შეუძნია წიგნებით, ის მერს სიტყვიერად, თუ ყველაფერს

იმისი, რასაც ხალხი ჰლაპარაკობს (გასმის ხარხარი)

გობლე. ბურჟუა თავის აზრს ვერ შეასრულებდა იმიტომ, რომ მას ჰსურდა შეედგინა სამინისტრო რესპუბლიკის მქილოდ შეკავშირებისა, ე. ი. შეურთებელი და ძნელად შესაკავშირებელი ორი მოწინააღმდეგე მიმართულება მოერიგებინა. ერთბაშად შეიცვალა დეკლარაცია, საქმე მარჯვნივ გაუხვია და სამინისტროს სკამებზედ დღეს რიბო და მისი ამხანაგნი სახედან (სიცილი). ახალს ამნისტის აღტაცებთ ვეგებები, მაგრამ რა პოლიტიკას დაადგება კაბინეტი შემდეგში, აი რა არის საინტერესო? როგორ მოიქცევა სამინისტრო შინაურ საქმეებისა და პოლიტიკის შესახებ, რა საშუალებას ამარს სასამართლოს მიერ აღძრულ დევნის გამო? როგორს ცვლილებას მოახდენს სამინისტრო? ჩვენ გვაწუხებს და გვაბრაზებს ის გარემოება, რომ კაბინეტში მონაწილეობას იღებს იმისთანა კაცი, რომელიც პანამის საქმეში მონაწილეობის მიზეზით წინააღმდეგე მიმართულებას ჰხელმძღვანელობდა. ნუ დავიგვიწყობთ, რომ ტარაიე წინააღმდეგეა ყოველ გვარ სოციალურ კანონებისა, რომლის მხარეც პარლამენტში რიბოსა და ლეზონს უჭირავთ. გარდასახადების ცვლილებაზედ როგორღაც არა ისმის-რა, იმედს იძლევიან მხოლოდ სასმელების წესდების შეცვლისას. საზოგადოდ ახლის კაბინეტის წევრთა სია იმას ამბობს, რომ იგი წინააღმდეგე იქნება დემოკრატიისა. ექვი არ არის დიუბიუსი კვალს დაადგება ახალი კაბინეტი. ერთხელ კიდევ გეკითხებით: რა ხალხითსა ეს პროგრამა? (გაისმის ხმაურობა სოციალისტთა და მემარცხენეთა მხრივ: „ეს პროგრამა მხოლოდ ერთს ჩაგვძახის, პარლამენტი დავითხოვოთ!“) უფრთხილდით! თქვენ კონსერვატორთა დახმარებით გსურთ ქვეყნის მართვა, ამითი მხოლოდ ახალს კრიზისს გამოიწვევთ. ერთს სიტყვას კიდევ წარმოგსთქვამ უკანასკნელად და ამით გადავალთ მორიგ საქმეების გარჩევანზედ: „პარლამენტი უარსჰყოფს მემარჯვენეთა შექილებისა და

არა, ნაწილს მაინც იმ ცოდნათაგან, რაც შეუძენიათ დაწინაურებულთა პირთა სასწავლებლებიდან, წიგნებიდან. აქ მცოდნე პირთა ენა ესმის ყველას. ეს მცოდნე პირნი ხდებიან წყაროთ პირთ სწავლისა და გონების ნაყოფის გავრცელებისა. ესენი, თუ სულ არა, ბევრში მაინც უწყვეტ შეკლისა და წიგნების მაგიერობას ხალხს. ამ გვართ, თუ საინტერესო ნაბიჯით არა, რაოდენათმე მაინც მიდის წინ ხალხის გონებითი განვითარება. ამასთანავე, ამ გვარი ხალხი ისწავლის თუ არა წიგნს, მათა აქვს მდიდარი ლიტერატურა, მწიგნობრობა, იქნს აქედამ ცოდნას, იხსნის გონებას. მაგრამ უმთავრესად ეს უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ დღეს ყველა ერი, რომელსაც განათლებისა მცირეც არის რამ მოსცხება, შესდგომია ცხარეთ გაზხალოს ყველა ამ ერის შემადგენელი წევრი მწიგნობრად, მცოდნეთ. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულს შტატებში სანთლით მოსაძებნი ვახდა უწიგნო კაცია. სხვა განათლებულნი ერნიც ცდილობენ, არ ჩამორჩენ ამაში ამ დაწინაურებულთა ერთა. მა-

დემოკრატიის წინააღმდეგობის პოლიტიკას“.

მანსტრ-პრეზიდენტი აბო. გობლეს უკეთესად ესმის ჩემი განზრახვა და ჩვენის მხრივ სრულიად უადგილო იქნებოდა პრეზიდენტის ეპისტოლეს შემდეგ სამინისტრო დეკლარაციით მოგვემართნა. არც საჭიროა დეკლარაცია, როდესაც უმისოდაც შეგვიძლიან აღწინააღმდეგე პირის-პირ ლაპარაკით სამინისტროს მიმართულება და პოლიტიკა. ურიცხვი დეკლარაცია წაკითხულა ტრიბუნისგან დევანდლამდის, ასე რომ უშველებელი კოლექცია შესდგებოდა, ეს რომ გვდომოდა. ყოველს ექვს გაწევა, რომ კაბინეტის შედგენაში რესპუბლიკის პრეზიდენტი სრულიად დამოუკიდებლად იქცეოდა. ჯერ ბურჟუას მიმართა, მაგრამ ამ მოლაპარაკების შესახებ იმდენივე ვიცი, რამდენიც გობლემ, ე. ი. მხოლოდის, რაც გახეზეში იყო დაბეჭდილი. მერე პრეზიდენტმა თავისთან მიმხმობა. ჩემი მეგობრებმა მიჩიეს, უარი არ განმეცხადებინა თანამდებობაზედ და მეც დავთანხმდი, რადგანაც ეს ჩემის მოვალეობის აღსრულებად მიმჩნდა.

მე უნდა შემიდგინა სამინისტრო და კიდევ მოგახერხე (ტაშის-კრა ისმის). რაც შეეხება გობლეს კითხვას, რაში მდგომარეობს ჩვენი პროგრამა, მოგვებთ: ჩვენ ვართ რესპუბლიკთა ერთობისა, საზოგადოების დაცვისა და დემოკრატიულ რეფორმების წარმომადგენელნი. და თუ რომ ამ დეკლარაციას ჩვენი საკუთარი ხელის მოწერაც მოჰყვება, მაშინ უთუოდ სრულის ნდობით უნდა მოგვეპყროთ (სოციალისტთა მხრივ ისმის: „გიცნობთ, გიცნობთ!“) ჩვენ მუცამ მორიდებულნი ვიქნებით ყოველ-გვარს გზა-კვალის აბნევას და უთანხმოებას, გობლემ აღნიშნა ჩვენი წარსული მოღვაწეობა. ჩვენ მუდამ პატიოსნურად ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას. სინდისი წინდა გვაქვს და ვერაში ვუსაყვედურებთ ჩვენს თავს (ცენტრი-დგან ტაშის-კრა მოისმის). ჩვენთვის ამ ემად ნდობა საჭირო, რომ ცვლილებათა შემოტანას მივყოთ ხელი.

სოციალისტი ტუსენი. სახელდობრ რა ცვლილებანი გაქვთ სახეში? სო-

შასადამე, ერნი, რომელნიც ექუთენიან განათლებულთა და ენა-ლიტერატურა ვრცელთა, ყველა თავისი შემადგენელი ნაწილით, თუ თანაბრად არა, წავლენ წინ ერთმანერთის მცირე რამ გაჩვენით. ამას დაეხმარება სისხლის შერევა. გონების განვითარება და სისრულე, რომელიც ხდება ინტელიგენციაში, გადადის სისხლის შერევათ, როგორც სამკვიდრო ნიქი, მდაბიო ხალხშიაც. მაგრამ ერთი, რომელიც ცდილობს სხვის ენის შეძენას, შეთვისებას და არ მისდევს თავისი ენის გამდიდრებას, მოკლებულია ყველა ამ გარემოებას. ჯერ ერთი იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიათ ამ ერთ და გაზრდილან უცხო ენაზედ, არა აქვთ ცოდნა თავისი ხალხის ენისა, რის გამოც ხალხს ამითი და ამით თავისი ხალხისა არა ეყურებათ-რა. ცხადია, ესენი პირად, სიტყვიერად ვერაფერს ცოდნას ვერ შეიტანენ ხალხში, მაშასადამე ამ მხრივ ეს ხალხი მოკლებულია ამითი მაინც არის თავის გონებითს განვითარებას. მეორეც ესა, რაკი ამ ნასწავლ პირთ არც იან სამშობლო ენა, ვერც შეჰქმნიან ამ ენაზედ ლიტერატურას,

ცოლიური ცვლილებანი, თუ სხვა რამ?

სოციალისტი ტუსენი. მაგისტროსა განილდობ!

ბ.ა. რა ცვლილებანი? აი, თუნდ სასამართლოს საქმეებში შესატანი ცვლილებანი, რომლებიც სხვა-და-სხვა ფუქს მიზეზთა გამოა მუდამ უკანა ჩამორჩენილი. არავის მივსცემ ნებას, რომ სხვა-და-სხვა პროგრამებით და სიტყვებით ვიყო შეზღუდული, მე მსურს ისეთი საკეთილო კითხვები აღვძრა და განვხორციელო, როგორცა მუშებში უბედურ შემთხვევათა შესახებ კანონი (ხმა: „ტარაიე რაღას იტყვის!“), ჩვენ გავიყვანთ ამ რეფორმებს როგორც პარლამენტსა, ისე სენატში. ბევრი ძვირფასი დრო გვეკარგება უბრალოდ. დღეს უკვე 28 იანვარია და ხარჯთ-აღრიცხვის გადასინჯვას-კი არ შეედგომივართ. აქედან უნდა შემუშავდეს სამკვიდრო მამულზედ გარდასახადების კანონის ცვლილება (ოპოზიციამ ხმაურობა ასტეხა). მაგრამ ჩვენ საპატიო საქმედ უნდა მივითვალოთ, რომ ეს განვხორციელოთ, ესლა-კი სასჯულო მინისტრი ამნისტის კანონ-პროექტს წარადგენს, ე. ი. მშვიდობიანობის საქმეს შეეხება. მე ყველაფერი გულ-ახლი აღად და პატიოსნურად აღვიარე თქვენ წინაშე, ესლა, როგორც ვერჩივით, ისე მოიქცით (ცენტრში ტაშის-კრა გაისმის).

პაპი ლეონ XIII.

პ.პის ჯანმრთელობა მართკო კათოლიკეთათვის არ არის საინტერესო, არამედ ვერაზის ყველა სახელმწიფოსათვის. „British Medical Journal“-ის კორესპონდენტი ნამდვილს ცნობებს იუწყება გავონილს პაპის საკუთარ ექიმის ლაპონისაგან, რომელსაც თვით პაპმა თურმე დაჰართო ნება, არა დაეფარა-რა. დღევანდელი ჯანმრთელობა პაპისა (პაპი ამ ჟამად 85 წლისაა) ძალიან კარგად არის და ამ უკანასკნელის რვა თვის განმავლობაში არა სტატიება-რა (ამ უკანასკნელად გაციების გარდა). ასეთი ჯანმრთელობა საღის აგებულების და რიგიან ცხოვრების ნაყოფია. პატარა-მწიგნობრობას. ამის გამო, თუნდა კიდევ ისწავლოს მდაბიო ხალხმა წიგნი თავისი ენისა, არ ექმნება ლიტერატურა და მწიგნობრობა ისრეთი, რომ ამ ერმა იქილამ მაინც შეიგოს თავისი გონებისა და ცოდნის ნაკლი. ამასთან, რაკი არ იციან ენა თავისი ხალხისა, ვერც მოხდება ამათსა და მდაბიო ხალხში დაახლოვება, დათვისტომება, სისხლის შერევა, რომ ამითი გავრცელდეს ხალხში გონების განვითარება სამკვიდრო ნიქად შეძენილი. თუ ყველა ამას ესეც დაუმატეთ, რომ ამ გვარს ხალხს არ ესმის თავის ენაზედ საშუალოებში მსჯელობა, ლაპარაკი მმარტველთა, მოკლებულთა, ცხადად დაინახავთ, რადგანს გარემოებას არის მოკლებული ესა, რომ მიჰყვეს დაწინაურებულთა ერთა მდაბიო ხალხს. მაშასადამე, ცხადია, ამ გვარნი ერნი უნდა ჩამორჩნენ გონებით იმ ერთა, რომელნიც თავისი საკუთარს ენაზედ სწავლობენ, თავისი ენას ავითარებენ. ამ ჩამორჩენას რაც მოსდევს, ის ჩვენ ვუჩვენეთ ზემოთ. (ხმაზე ვერგოვებ ჩემი სტატია ენების წინააღმდეგობაზედ, სათაურით „ჩვენს ლიტერატურაზედ“ „ცისკარი“ 1867 წ.)

ანტონ ფურცელაძე.
(შემდეგი იქნება)

დებემა

(რუსეთის დებემათა სააგენტოსაგან)

24 იანვარი *)

დებემა, იმ რუსეთში, რომელიც უნდა ჩამოვიდეს უნდა სანაზღაუროდ, რომელიც ამ უმაღლესად გისდომოდ, — მოტყუებით წაუყვანია ზემოქმედებით ქალი-შვილი და მიუყვანია დადგენილი მონღოლის გურგანების სასაღმადროდ, რომელიც ძიძიკოვის ნათესავი უფლებად; მაშინვე დებემა უფრებით სიღნაღში და ძიძიკოვი იმ დებემაზე ჩამოვიდეს აქ, ტფილისში. ქალს რომ გამოუტყვევია უფლებად; სანაზღაუროდ ტირილი დაუწვია, მაგრამ გულშემატყავარი აზრის აღმოჩენიდა... რადღის უკან ქალი მიუყვანიათ სკოლაში... უფლებად ამ ეპიტაფის მიქმედება ამ საგნის შესახებ უფლებად მიერ მოჭესუნდა და პრაგურადას.

მეორე ბიძაშვილი ქალისა ისაია ასათაშვილი.

ქ. ტფილისი, 1895 წ. 25 იანვარი.

II

ნება მოგვცით თქვენს გასეთის საშუალებით უგულვითადაც მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც თქვენს პატრიარქულს რადიქლებს, აგრეთვე, მთავარბაბს „ა... კლას... ადა, НОВ. ОБОЗ...“ ს რადიქლებს, რომელთაც ახ დაიშურე! თავიანთი გამოცემა და 1894 წლის განმარტებაში შეუწყვეტლად გპწვდიან. იმედა ახრც მომავალში მოგვკვლებს თავიანთს გამოცემას.

კონსტანტინე სევასტოპოლისს, ეს ჩვენი შაჰა წყარა და დაჭრულად.

დავითით მარად თქვენი პატივისმცემელი ქართველი სტუდენტები კიევი, 18 იანვარი.

III

მივმართავ უმთავრესად თხოვნით თქვენს პატრიარქულს გასეთის საშუალებით ეველს ქართველს მწერლებს, ქართულ და რუსულ დრო-გამოშვებით გამოცემას რადიქლებს, რომლებიც უჭკუადაა თანაგრძობენ ხალხის წარმატების და კეთილ-დღეობის საქმეს, აღმოგვიჩინონ მტრად აღნიშნონ თვითონ წყალობის შემოწმებით, პირველთა თხოვნისას, ხოლო მეორეთა უფრულ-გაზოთობის მოწოდებით ს. ჩოხატაძის ასა და მასობურ უფასო სამეცნიეროებს და წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, რათაც დადა დაჯალბულნი და მადლობა გავხდებით. ამასთანავე კსარტკლბით შემთხვევით, ჩვენი უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ უფრულ „სეველნი რუსტინის“ გამომცემელს ქალს. გურგენის, რომელმაც უფასოდ დაგვიხარა თვისი უფრულა.

ბიბლ. კომიტეტის წევრნი ს. ჩახატაძის 23 იანვარი 95 წ.

შეგონებულება

ქართულს გადვინის ნოტებად დაწვობის და დაბეჭდვის სასარგებლოდ ბ. არ. ქეთათელაძისაგან მივაღუ 15 მან. ეს ფული შემოსწირეს:

თ. ივანე ანდრონიკაშვილმა 3 მან., ნიკოლოზ ლაღობერიძემ 10 მან. და იანუ რატაშვილმა 2 მან. ამ ხუთშემა მანეთით მთლიანად შექმნა 681 მან. და 5 კაპ.

მ. შარაძე.

*) ვერ გავარჩიეთ მთელი გვარი.

ბიბლიოთეკის საღმარის აგებულებისა ყოფილა პაპი და მხოლოდ მწიფისა გამხდარა პირველად ავად სახანდისაგან, რომელსაც მაშინდელმა გამოჩენილმა ექიმმა ვულბემ თურმე გადაარჩინა იმით რომ ცივს წყალში აბანავებდა. ექიმი ლაპარაკი ამბობს, ორგანოები საღი აქვს და კარგად ცმოქმედებს მის ღრმა წლოვანობის მიხედვით, თუ კან-ქვეითის გარის, **arcus senilis**-ს არ მივიღებთ მხედველობაშიო. ძარღვი სწორედ უცემს 68—70-ჯერ თითო წამში. მხედველობა კარგი აქვს, თუმცა ცოტა ბეცია, მაინც ვაზეთებს უსათვალთვოდ კითხულობს. მშვენიერი სმენა აქვს. საჭმელის ხმარებაში მუდამ ზომიერი იყო პაპი. პაპი ასე სცხოვრებდა. დილით რძით ყავას ჰსვამდა და ცოტა პურს ატანდა, სადილით წვენი ჰქონდა, ცხვრისა ან ძროხის ხორცი მოხარშული, კართოფილით ან სხვა-რამ მწვანელით შეხავებული და პატარა ქიქა ბორღოს ღვინო. საღამოთი წვენი, პური და პატარა ქიქა წითელი ღვინო. ხან-და-ხან სადილსა და ვახშამს შუა თითო მათობა წვენსა სვამდა. საჭმელს კარგად ინელებს პაპის კუჭი, მაგრამ, ექიმის ლაპარაკის აზრით, პაპი მთელის კვარის განმავლობაში იმდენსა სვამს, რამდენსაც ლაპარაკი-ერთს ჯერად. პაპს ძალიან ცოტა სძინავს, სულ 3 თუ 4 საათი ღამეში და სადილი შემდგება ნახევარი საათი. დილით ძალიან ადრე დგება და ღამე გვიანა წეჭდა; ბევრს დასერილობს ხოლო პაპი ვატიკანის ბაღებში. მოხუცებულება მხოლოდ ძარღვების კანკალში ეხატებ. გონება მეტად ნათელი აქვს, მხეხიერება განსაკუთრებული, — **morto prodigioso**, როკორც ექიმმა ლაპარაკი სთქვა. თვისის სიტყვებს პაპი ძალიან ნაკლებად უკეთებს შენიშვნებს, ლაპარაკობს თავისუფლოდ და მწვერ-მეტყველიც არის დღეში 15 საათს მუშაობაში ატარებს, 9-ღან 2-დის ნახვის მსურველთა ინახულებს ხოლო მე. ლეონ XIII ხასიათით ნერვებინა და მეტად ჩქარა ითვისებს იმ საგნებს, რომლებიც წინად არა სცოდნია. პრელატთა უმეტეს ნაწილის მიხედვით პაპი ბურჟუასაცა სწევს.

წერილები რადიქების მიმართ

I

ბატონო რადიქტობა!

უმთავრესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატრიარქულს გასეთ „აველ“ში შედგეს:

ქ. სიღნაღის სამეცნიერო სკოლის მასწავლებელი გვარად ძიძიკოვი, იქნება კარგა შუა ხნის კაცი, სულ რომ ცოტა კსოტკათ — რომელიც წლის მანძი; ამას სდამება ცოლად, როგორც აღმოჩნდა, ღამაში, მდიდარი, ნასწავლი და ჰეკანა ქალი... ბუჭა უმეხია ამ გვარი საცდლო გასეთში, ჯი 'აიუში, ქართლში, იმურეთში ბოლქას გაუვია, რომ აქ ერთს ხასიათში სწავლობს ობოლი ქალი (დედამამ ჩოლკამ წაართვა), რომელსაც დაინა კარგა შეძლება, და გარდაუწყვეტია მასა მუხრავა; რადგანაც იტვი შეჭარბავა, რომ მას არ დასთანხმდებოდნენ ამ საქმეზედ ქალის ნათესავები, — დაჭირებია ერთს მაჭანკალს დედაკაცს 400 მანეთს, თუ როგორც მოუხერხებდა ამ საქმეს. ამ გვარს დაშირებით წაქეზებულს

მიმართულ ძალიანობის მხვერპლად გახდებინაო.

საპსუხო აღრესის გარჩევის დროს საზოგადოებათა პარლამენტში ბაღფურმა სახელმწიფო პროგრამა აღუსრულბებლად აღიარა. გარკობტმა სთქვა, რომ ხელმწიფის გარდაცვალება მართლაც დიდი უბედურებაა, რადგანაც ყველაზე მეტად განსვენებული პრინციპა მშვიდობიანობის დაცვისათვის; მაგრამ გარკობტს სასიამოვნოდ ჰჩება ის, რომ ნიკოლოზ II-მ თვისის მშობლის მავალითს მიშპადა და მშვიდობიანობის მოყვარედ აღაჩა თავისი თავი. ორატორს შესაძლებლად მიჩნა ის აზრი წარმოსთქვას, რომ ევროპის სხვა ხელმწიფენიც არა ნაკლებ თანაუგრძობენ მშვიდობიანობს; არც ერთი სახელმწიფო არ არის დღეს იმისთანა, რომელსაც ომის ატეხა ჰსურდესო.

განცხადება

ბირველი კერძო სამეურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუთაში, კარანთვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ-იმით, ვისაც სჭირს სნეულებანი; სახირურგო, ვენერიული და ჭივილისი.

გ. მ. ჩაქვანა, 9—10 საათ. სნეულებანი; თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდაკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი; შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმა მ. ტურბოვანი და ა. ა. ქ 11—12 საათ. სნეულებანი; დედათა სქესისა.

ი. ფ. შოტაშვილი, 12—1 საათ. სნეულებანი; ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. გარბუჯანაძე, 1—1/2 საათ. სნეულებანი; შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოლობით:

ბ. გ. გუგუა, 6—7 საათ. სნეულებანი; სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ა. გ. გუგუა. გამოიკვლევეს ქიმიურად და მიკროსკოპულიად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამეურნალოს საწილიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამეურნალო და ქეობა მედიცინის ნავასარდიანი.

(857—1468)

გვიწავა აგენტები

მომავალიან ბილეთების გასასყილად შესატან ფულის წვრილ-წვრილად გარდახდით და დაზღვევისათვის.

აღრესი იკითხეთ

ი. ა. შიფის

ბანკის კანტორა.

ს. შეტრებურგი, გორიხოვია, 13.

(3—863—1)

დიდი საბრძოლო ქაღალდი მოლიზაციის (კოლისიკის უნდატულზედ, საფარანგეთში) აბრეშუპის შიისა ცელიულიარული თესლი (პასტერის სისტემით მომზადებული).

ი. ალოიზისა

მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაინარონ ტფილისიდან, კავკასიის სამხრატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოზის ქუჩა, № 39, თესლი ისყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეკად.

(6—869—1)

ფრანგულის ენის კარგად მკოდნე ქართველი ეპიწილი კაცი ამხადებს მსურველთ. აღრესი „ივერის“ რედაქციაში. (4—6.—2)

წერა-კითხვის საზოგადოები წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

მან. კაპ.

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა 40

ბუნების კარი ყლით ი. გოგებაშვილისა 90

გეომეტრია II მ. ყოფიანისა 50

ვისამიანი 1 50

ახსულ. რ. ერისთავისა I 1

თხზულ. რ. ერისთავისა II 4

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა კრილოვის არაკეტი, თარგ. აკაკისა 30

იგივე მშვენიერის ყლით 80

მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი 30

შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა 2 0

პატარა მოამბე II ალ. მიჩინაშვილისა 10

რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა 30

რუხი მგელი გ. შერეთლისა 15

ქილილა და დამანა 3

შოლვას თავგადასავალი ცახელისა 15

ცვარი შ. მღვიმელისა წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა 15

ხომლი, ანუ რჩეულითა ლეილექითა კრება, ი. გოგებაშ. სატაური ან. თუმანიშვილისა 10

კონა ი. გოგებაშვილისა კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა 40

ლექსები ვახტ. ორბელიანისა 20

შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა 5

იქტორ-პიუგოს რომანი-დამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა 20